ვაჟა მათითაიშვილი

მთამსვლელის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი

თბილისი
2010

ვაჟა მათითაიშვილი

მთამსვლელის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი

ნაშრომი მოსმენილია და შეფასებულია დადებითად საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის მიერ 2007 წლის 16 მაისს.

თბილისი
2010

„ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი –
ანბანური მიმდევრობით დალაგებული სამყაროა.

სწორედ რომ ვთქვათ:

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი –
წიგნია, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით;

ყველა სხვა წიგნები ასახულია მასში;
საქმე მხოლოდ იმაშია რომ, გამოარჩიო ისინი მისგან.“

ვოლტერი

ISBN 978-9941-0-2751-2

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ტურიზმის თემა დღეს იმდენად აქტუალურია, რომ იგი სცილდება მხოლოდ დასვენებისა თუ შემეცნებითი დიაპაზონის საზღვრებს. საუბარია ტურიზმის როლზე ერთის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის განგანმტკიცებასა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებაში, ხოლო მეორე მხრივ ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური თუ მორალურ-ფსიქოლოგიური აღზრდის სახმეში: ქვეყნის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შეცნობის ფონზე ბუნების წიაღში მოგზაურობის გამაკეთილშობილებელ გავლენაზე პიროვნების ჩამოყალიბებაში. ტურისტი ბუნებრივ გარემოში, ზედმეტი ჩარევისა და კარნახის გარეშე, ეჩვევა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, მეგობარზე ზრუნვას, ხდება მის მიმართ ლოიალური, მაგრამ მომთხოვნი, თავისუფლდება ინდივიდუალიზმის კომპლექსისაგან.

ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა არ შეიძლება დაყვანილი იქნას მხოლოდ ინფრასტრუქტურის როლსა და მნიშვნელობაზე, ვინაიდან სამთო ტურისტისათვის ინფრასტრუქტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს; იგი მხოლოდ ცივილიზაციის კერად რჩება და დამხმარე ფუნქცია აკისრია.

მიგვაჩნია, რომ სამკუთხედში „ტურისტი – კადრი – ტურპროდუქტი“ ჩვენთან ჯერ-ჯერობით ყველაზე სუსტი შუა, დამაკავშირებელი რგოლია; მხოლოდ კადრებზე არის დამოკიდებული ვის და როგორ შევთავაზებთ ბუნებისგან ნაბოძებ, წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ თუ თანამედროვე ტალანტების ხელით შექმნილ ეროვნულ „ტურპროდუქტს“. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიული მომზადების დონეს, რასაც ბევრად განაპირობებს სტუდენტის წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების განმტკიცება და რისთვისაც აუცილებელია მისი უზრუნველყოფა სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით.

ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები მშობლიურ ენაზე სპეციალური ლიტრრატურის მწვავე დეფიციტს განიცდიან. ინტრრნეტით მოპოვებული ინფორმაცია კი საკმაოდ მწირი და ხშირად ნაკლებად საიმედოა. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია მოპოვებული მასალის ხარისხი და მისი დამოუკიდებლად დამუშავების შესაძლებლობა, რაშიც დიდი როლი ენიჭება ლექსიკონის გამოყენებას. საყურადღებოა, რომ სპეციფიკური ტერმინოლოგიის უქონლობის პირობებში სხვადასხვა ავტორი ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვანაირად მოიხსენიებს, საკუთარი შეხედულების მიხედვით,

რასაც სტუდენტის დაბნეულობა შეიძლება მოჰყვეს, ზოგჯერ კი საქმე კურიოზებამდეც მიდის: მაგალითად, ზოგიერთი ავტორის (გ. კახიძე) ნაშრომში „წერაყინი" მოიხსენიება, როგორც „ყინულმჭრელი", ზოგან (გ. ხოჭოლავა) იგივე ინვენტარი იწოდება, როგორც „ორთოხი"; „პალო"-ს მაგივრად ბ-ნ კ. აფხაზავას გამოყენებული აქვს „კაუჭი", ან „სოლი". „ჭოკი"-ს მაგივრად „ლატანი" და ა.შ., მაშინ როცა ეს საგნები, ყველა სხვადასხვა შინაარსის მატარებელია.

წარმოდგენილი ლექსიკონის მიზანია გაუადვილოს სტუდენტს სპეციფიკური ტერმინების აღქმა-გააზრება და წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისას გაზარდოს მისი შრომის ნაყოფიერება. მასში თავმოყრილი და განმარტებულია ალპინიზმსა და სამთო ტურიზმში გავრცელებული 400-მდე ტერმინი და დასახელება. ზოგიერთი მათგანი უცხოური წარმოშობისაა (მაგ. აზიმუტი, კომპასი, ექსკურსია, ტურიზმი და ა.შ.) მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში ისინი ისე დამკვიდრდნენ ქართულ მეტყველებაში რომ, ვფიქრობთ, ახლის ძიებას აზრი არ აქვს.

დარწმუნებული ვართ, რომ წარმოდგენილი „ლექსიკონი" სტუდენტების გარდა დაეხმარება სამთო თემატიკით დაინტერესებულ ყველა პირს ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობის დროს, მიაწოდებს საჭირო ინფორმაციას, დაიცავს მათ დაბნეულობისაგან, ხოლო ქართულ ტერმინოლოგიას ზედმეტი „დანაგვიანებისა" და ქაოსისაგან; ამავე დროს ხელს შეუწყობს ქართული ალპინიზმის ავტორიტეტის განმტკიცებას.

„მთამსვლელის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი" დღევანდელობის აუცილებლობითაა ნაკარნახევი. იგი სამთო თემაზე ანალოგიური ნაშრომის შექმნის პირველი ცდაა და ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან, რომელთა გამოსწორება მომავლის საქმეა. მივესალმებით ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას, შევეცდებით მათ გათვალისწინებას შემდგომ მუშაობაში

ვ. მათითაიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; ალპინიზმის I კატეგორიის ინსტრუქტორ-მეთოდისტი; სპორტის დამსახურებული მუშაკი.

ა

აბრისი (გერმ.) – ხელით შესრულებული მარშრუტის სქემა, ნახაზი, გეგმა, სადაც ობიექტების განლაგება პირობითი ნიშნებითაა გამოსახული

აბორიგენი (ლათ) – ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა.

ადაპტაცია (ლათ.) – შეგუება, შეჩვევა გარემო პირობებთან.

ადგილმდებარეობის გეგმა – პირობითი ნიშნებით გამოსახული სქემა, სადაც დაცულია საგნების ურთიერთგანლაგება.

ავარიის სიგნალი – ავარიის, კატასტროფის მაუწყებელი სიგნალი, დახმარებისაკენ მოწოდება, რომელიც გადაიცემა ნებისმიერი საშუალებით წუთში 6-ჯერადი სიხშირით, 1-წუთიანი ინტერვალით; სიგნალის მიღების დასტური - იმავე საშუალებით, წუთში 3-ჯერადი სიხშირით.

ავგაროზი – ნივთი, რომელსაც მორწმუნე მაგიურ ძალას ანიჭებს და სჯერა რომ იგი მას ხიფათისაგან („ავი სულისაგან“) დაიცავს.

აზიმუტი (არაბ.) – კუთხე, რომელიც ათვლილია ჰორიზონტალურ სიბრტყეში ჩრდილოეთის მიმართულებიდან მოცემულ ორიენტირამდე და გამოსახულია გრადუსებში

აისბაილი(გერმ) – მთამსვლელის საჭურველი, წერაყინის შემცვლელი, რომლის თავის ერთი მხარე ჩაქუჩს წარმოადგენს, მეორე კი ყინულის საჩეხ დაკბილულ, კაუჭიან ნისკარტს.

აკია – ლითონის კონსტრუქციებით ასაწყობი სპეციალური საკაცე, ნავის ფორმის, რთულ მთაგორიან რელიეფზე მძიმედ დაშავებულის გადასაყვანად.

აკლიმატიზაცია(გერმ) – უცხო კლიმატურ პირობებთან თანდათანობითი შეჩვევა (შეგუება).

ალპები – მთების სისტემა, მთიანი მხარე დასავლეთ ევროპაში

ალპენშტოკი (გერმ.) – მუჯირა, ჯოხ-შუბი, სამთო ჯოხი, – 3-5 სმ დიამეტრის და 1,5-2მ სიგრძის მახვილწვერიანი ლითონის ბუნიკით დაბოლოებული დასაყრდენი ჯოხი.

ალპინარიუმი – ბოტანიკური ბაღის, სკვერის ან პარკის უბანი, სადაც ალპიური ზონის მცენარეებია თავმოყრილი. ეწყობა ხელოვნურად შექმნილ მცირე სიმაღლის გორაკზე.

ალპინიადა – მასობრივი ალპინისტური ღონისძიება, რომელიც სასწავლო, სპორტული, საიუბილეო ან სხვა მიზნით შეიძლება ჩატარდეს.

ალპინიზმი – იხ. მთამსვლელობა

ალპინისტი – იხ. მთამსვლელი

ალპინისტური ბანაკი – მაღალმთიან ზონაში განლაგებლი სპეციალიზირებული სპორტული ბაზა მთამსვლელთა მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ალპიური ზონა – მაღალმთიანი ზონა, ტყის სარტყელის ზემოთ, სადაც მცენარეული საფარი ბალახოვანით, იშვიათად ბუჩქნარით არის წარმოდგენილი ან სულ არ არის.

ალპიური მდელო – ერთწლიანი ბალახოვანი საფარით წარმოდგენილი რელიეფი მაღალმთიან ზონაში

ალპკლუბი, ალპინისტური კლუბი – სამთო კლუბი, პროფესიულ საწყისებზე შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კერძო დაწესებულება, რომელიც აერთიანებს მთამსვლელობით დაინტერესებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს თუ ცალკეულ პირებს და არეგულირებს მათ ალპინისტურ საქმიანობას.

ამინდი – მეტეოროლოგიური მონაცემების (ნალექი, წნევა, ტემპერატურა, ტენიანობა და ა.შ.) ერთობლიობა.

ამორტიზატორი – სპეციალური მოწყობილობა, რომელიც მთამსვლელის ვარდნისას ამორტიზაციას უკეთებს სხეულზე თოკის დარტყმის ძალას და შესაბამისად ამცირებს ან მთლიანად გამორიცხავს ტრავმატიზმს.

ამტანობა (ამტანიანობა) – მძიმე პირობების (ექსტრემალური სიტუაციის) გაძლების უნარი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვისებების ერთობლიობა.

ამუნიცია (გერმ. ფრანგ.) – ინვენტარ-საჭურველის ერთობლიობა.

ანდები – მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ.

ანორაკი – თხელი, მსუბუქი, წყალგაუმტარი, ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილისაგან შეკერილი სამოსი, საყელოზე მიკერებული თავზე წამოსასხამით (კაპიუშონით).

აპენინები – მთიანი მხარე, მთათა სისტემა აპენინის ნახევარკუნძულზე, ალპების სამხრეთით

ასვლა (მწვერვალზე, მთაზე) – აღმასვლა, აცოცება, აძრომა.

ასვლის გარჩევა – ასვლის მონაწილეთა და ხელმძღვანელთა საერთო კრება, რომელიც ტარდება ასვლის შედეგების შეჯამების, ანალიზისა და დასკვნის გამოტანის მიზნით.

ატმოსფერო – ჰაერის გარსი დედამიწის გარშემო.

ატმოსფერული ფრონტი – გარდამავალი ზონა განსხვავებული ფიზიკური თვისებების მქონე ჰაერის ორ მეზობელ ფენას შორის.

აღმართი – აღმავალი, ქვევიდან ზევით მიმავალი გზა, ბილიკი ან ფერდობი.

ბ

ბაგირი – მსხვილი, მრავალწვერიანი თოკი (შესაძლებელია ფოლადისაც)

ბაზა (ფრანგ. ბერძნ.) – დაწესებულება, რომელიც ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო ან სხვა საქმიანობის რომელიმე დარგს (მაგ. სპორტული ბაზა, ბოსტნეულის ბაზა, სამხედრო ბაზა და ა.შ.).

ბალახი – ერთწლიანი მცენარე, ბუჩქზე დაბალი, რომელიც ზამთარში ხმება და გაზაფხულზე ისევ ამოდის

ბალიში – თოვლიანი პლატო; გუმბათოვან-თოვლიანი მწვერვალი.

ბალკონი (ფრანგ.) – კლდოვან ფერდობზე გამოშვერილი მოკლე თარო, რომელზედაც შეიძლება ჩამოჯდომა

ბასტიონი (ფრანგ) – ვიწრო, შვეული კლდოვანი კედელი მთის კალთაზე, რომელიც ორივე მხრიდან ღრმა კულუარით არის გამოყოფილი ფერდობის ძირითადი მასისაგან

ბაწარი – იხ. თოკი

ბახილი (რუს.) – ჩექმის ფორმის შალითა, ფეხსაცმლის ზემოდან ჩასაცმელი, რომელიც მუხლებთან ზონარით იკვრება. ღრმა თოვლში სიარულისას იცავს წვივებს და ფეხსაცმელს სიცივისა და სინესტისაგან.

ბედლენდრი – მიწათმოქმედებისათვის უვარგისი რელიეფი, ცუდი მიწა დაბალ მთიანეთში, ძლიერ დასერილი, ძნელად გასავლელი.

ბელტი – იხ. ლოდი

ბერგშრუნდი (გერმ.) – ფართე განივი ნაპრალი თოვლ-ყინულოვან ფერდობზე

„ბესედკა"(რუს.) – ღვედების ან თოკებისაგან შეკრული დაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ვარდნის დროს ამცირებს დატვირთვას სხეულზე და ამით ზრდის დაცვის ეფექტურობას.

ბექობი, ბექი – იხ. ბორცვი

ბზარი – იხ. ნაპრალი

ბილიკი – ფეხით სავალი ვიწრო გზა

ბიჯი – იხ. ნაბიჯი

ბლოკი (ინგლ.) – 1. იხ. ჭაღი; 2. დიდი ლოდი – იხ. ფილა

ბლოკ-მუხრუჭი – ლითონის საკიდარში ჩასმული 10-12 სმ სისქის და 25 სმ დიამეტრის სპეციალურ ღარებიანი ხის გორგოლაჭი. გამოიყენება სამაშველო საქმიანობაში

ბოგირი – მდინარეზე გადასასვლელად სახელდახელოდ გადებული ხის მორი.

ბორცვი, ბექობი, გორაკი – მომცრო ზომის ამოზნექილობა ხმელეთის მოვაკებულ ზედაპირზე.

ბოლი – იხ კვამლი

ბოძი – 1. შენობის, ნაგებობის საყრდენი ნაწილი; 2. ყინულოვან ფერდობზე დაშვებისათვის ხელოვნურად გაკეთებული (ამოთხრილი) 25-30 სმ დიამეტრის და 15-20 სმ სიმაღლის ყინულის შვერილი

ბრამშკოტი (ჰოლანდ) – სხვადასხვა დიამეტრის თოკების გადასაბმელად გამოყენებული კვანძის სახეობა;

შედგენილი სიტყვაა:

- „ბრამ“ - მიუთითებს იალქნიანი ხომალდის ზემოთა (მესამე) იარუსს, სადაც ესა თუ ის სამარჯვი გამოიყენება;
- „შკოტ“ - იალქნის ქვემო კუთხის დამჭიმავი კვანძი.

ბუმბული – ღინღლი, თივთიკი, ფრინველის ან ზოგიერთი ცხოველის ბეწვისძირა ბუსუსი, რომელიც გამოირჩევა მაღალი თბოიზოლაციის თვისებებით და გამოიყენება სამთო აღჭურვილობის (ჩაცმულობა, შალითები) დასამზადებლად.

ბულინი – კვანძის სახეობა, რომელიც გამოიყენება მთამსვლელის თოკში ჩაბმის ან თოკის ბოლოს საყრდენზე დამაგრების მიზნით.

ბუნიკი, ბუნი – 1. წერაყინის ან ალპენშტოკის ლითონის მახვილწვერიანი ბოლო;

2. ხმლის ქარქაშის ბოლო.

ბურუსი – იხ. ნისლი

ბუხარი – განიერი ნაპრალი (ვერტიკალური ან დახრილი მიმართულების), რომელშიაც შეიძლება ადამიანი შეეტიოს

გ

გადასასვლელი, – იხ. ზეკარი, უღელტეხილი

გამყოლი – 1. გამცილებელი, მეგზური; 2. კვანძის სახეობა თოკში ჩაბმისათვის.

გამოქვაბული, მღვიმე – ბუნებრივი პროცესების შედეგად კლდეში, მიწის ან ნაზვავი თოვლ-ყინულის ქვეშ წარმოქმნილი ნიშა. შეიძლება ხელოვნურადაც გაკეთდეს, როგორც თავშესაფარი.

განივი ნაპრალი – ფერდობზე განივად (გარდიგარდმო) არსებული ნაპრალი

გადაღუნვა – რელიეფის მრუდე, ამოზნექილი ნაწილი, რომელზედაც ფერდობის სიბრტყე მიმართულებას იცვლის

განშტოება – გზის, ბილიკის ან მდინარის დინების მიმართულების დანაწევრება

გარე კუთხე – სხვადასხვა ორიენტაციის ფერდობების სიბრტყეთა გადაკვეთით შექმნილი კუთხე, რომლის წვერო მიმართულია ფერდობის გარეთ

გვამი, ცხედარი – გარდაცვლილის (დაღუპულის) სხეული.

გვარლი – იხ. ტროსი

გვირაბი – მთის, თოვლის ან ყინულის ფერდობში გაჭრილი ღრუ გასასვლელი

გზა – სპეციალურად გატკეპნლი სავალი ზოლი ტრანსპორტის ან ფეხით მოსიარულეთათვის.

გზაჯვარედინი – სხვადასხვა მიმართულების გზების (მარშრუტების) გადაკვეთის ან განშტოების ადგილი.

გლისირება – თოვლიან ან ყინულოვან ფერდობზე დგომში სრიალი; ფერდობზე სრიალით დაშვება თხილამურების ან სხვა მოწყობილობის გარეშე.

გორაკი – იხ. ბორცვი

გრგვინვა, ქუხილი – ატმოსფეროში მიმდინარე ელექტრული განმუხტვის ხმოვანი გამოვლინება.

გრძივი ნაპრალი – ფერდობის გასწვრივ (ზევიდან ქვევით) არსებული ნაპრალი

გუმბათი – მომრგვალებული ფორმის მწვერვალი მნიშვნელოვანი ფართით

დ

დაზარალებული, დაშავებული – ავარიის ან უბედური შემთხვევის მსხვერპლი

დაზვერვა – მარშრუტის წინასწარი შემოწმება მისი მახასიათებლების გამოვლენის და გეგმის დაზუსტების მიზნით

დამხმარე თოკი, რეპშნური – ხელოვნური ბოჭკოსგან დამზადებული 4–6 მმ დიამეტრის თოკი, დამხმარე სამუშაოების (ტვირთის შეკვრა, კარვის დაჭიმვა საჭურველის დაზღვევა და ა. შ.) შესასრულებლად.

დამწვრობა – მაღალი ტემპერატურის, მზის რადიაციის ან ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად განვითარებული სხეულის (უფრო ხშირად კანის) დაზიანება.

დაფა (თოვლის დაფა) – მკვრივი თოვლის სწორზედაპირიანი ფერდობი

დაღმართი – დახრილი დაღმავალი (ქვევით მიმავალი) გზა, ბილიკი ან ფერდობი

დაცვა, დაზღვევა – რელიეფის რთულ უბანზე უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული ღონისძიება.

დაცვის სისტემა („*სისტემა*“) – ღვედებითა და შესაკრავი მოწყობილობებით აღჭურვილი სპეციალური სისტემა, რომელიც მთამსვლელის ვარდნისას გამორიცხავს ან ამცირებს ტრავმატიზმის; სამკერდე ქამრის თანამედროვე, გაუმჯობესებული ვარიანტი (იხ. სამკერდე ქამარი).

დახურული დგომი – მთამსვლელის პოზა რელიეფზე სამი საყრდენი წერტილის აუცილებლობით. კორპუსი ნახევრად შებრუნებულია ფერდობისაკენ (დაბლობისაკენ ზურგშექცევით), ხოლო უკანა ფეხი მოქცეულია ფერდობისკენ; მუშაობა ხდება ცალი ხელით.

დახურული მყინვარი – მყინვარი, რომლის ნაპრალები თოვლითაა გადაფარული ან ამოვსებული; რეალური საფრთხის გამოცნობა ძნელია.

დგარი – 1. კარვის საყრდენი ჯოხი; 2. ცეცხლის (კოცონის) ორ მხარეს დასობილი ორკაპი, რომელზედაც ხარიხა გაიდება ჩაიდანის ჩამოსაკიდად.

დგომი – მთამსვლელის სხეულის (კორპუსის) პოზა სტატიკურ მდგომარეობაში

დირე – იხ. მორი

დისტანცია (ლათ) – მანძილი რიგებს შორის მოძრავ კოლონაში, ან რიგში მდგომ (მოძრავ) მთამსვლელებს შორის

დნობა, ლღობა – თოვლის ან ყინულის წყლად ქცევის პროცესი

დულფერი (დიულფერი) (გერმ.) – 1. თოკზე გადამჯდარი ჩამოსვლა (დაშვება) დიდი (ვერტიკალური, უარყოფითი) დახრილობის ფერდობზე; 2. დაშვებისათვის გამზადებული (მარშრუტზე დაკიდებული) თოკი.

ე

ედელვაისი – მაღალმთიანი ზონის ორიგინალური ყვავილი; გავრცელებულია პამირის მთიანეთში

ეკიპირება (ფრანგ) – იხ. კაზმულობა

ელვა – ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში, - განმუხტვის ხილული გამოვლენა, ნათება

ელჭექი, ჭექა-ქუხილი – ატმოსფეროში მიმდინარე ელექტრული განმუხტვები, განმუხტვის ხმოვანი გამოვლენა

ერთდროული დაცვა – მარშრუტის ნაკლებად სახიფათო უბანზე ჩაბმაში მყოფი მთამსვლილიბის ერთდროული გადაადგილებისას უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული ღონისძიება.

ექსკურსია (ლათ.) – მოგზაურობა ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად გიდის ან მეგზურის თანხლებით

ექსპოზიცია (ლათ.) – ფერდობის განლაგება (ორიენტაცია) მზის მიმართ

ვ

ვარდნა – დავარდნა, დაცემა, სხეულის უკონტროლო მოძრაობა ზევიდან ქვევით დედამიწის მიზიდულობის ძალის ზეგავლენით; რელიეფის ზედაპირზე არამყარ პოზიციაში აღმოჩენა.

ვერტიკალი (ლათ.) – შვეული, მიმართულება, რომელიც ჰორიზონტალურ სიბრტყესთან 90°-იან კუთხეს ქმნის; სხეულის თავისუფალი ვარდნის მიმართულება.

ვერძის შუბლი – მყინვარის დინების კალაპოტში გაშიშვლებული ციცაბო კლდოვანი უბანი, ძნელად ხელმოსაჭიდი, დაბლაგვებული შვერილებით (საყრდენებით).

ზ

ზეგანი – ვაკე ადგილი მაღლობზე, მთაზე; მნიშვნელოვანი ტერიტორიის ბრტყელი მოვაკებული უბანი დაბალმთიან ზონაში.

ზეკარი – იხ. უღელტეხილი, გადასასვლელი

ზვავი – მთის ფერდობზე დაცურებული თოვლის მნიშვნელოვანი მასა.

ზვავის კონუსი – ზვავის ჩამოწოლის შედეგად მის ბოლოში წარმოქმნილი კონუსური ფორმის ნაზვავი მასის (თოვლი, ღორღი) გროვა, რომლის წვერო ზემოთ (ფერდობისკენ) არის მიმართული.

ზვინული – გრძლად ამაღლებული დაყრილი მიწა, ქარის მიერ მოხვეტილი თოვლი, ან სხვა

ზიგ-ზაგი (ფრანგ. გერმ.) – ტეხილი ხაზი, გზატეხილი, მიხვეულ-მოხვეული მიმართულება

ზონდი – იხ. საზვავე ზონდი

ზურგჩანთა – სამხრეებიანი ჩანთა ტვირთის ზურგით სატარებლად

ზღუდარი – მოკლე მონაკვეთი ქედზე, რომელიც სხვადასხვა სირთულის ან მიმართულების ორ უბანს აერთებს.

თ

თავისუფალი ვარდნა – ვარდნა ვერტიკალურ სიბრტყეში, რელიეფის ზედაპირთან შეხების გარეშე, ჰაერში იძულებითი ფრენა სიმძიმის ძალის ზეგავლენით.

თავშესაფარი – ბუნებრივი ან ხელოვნური საყუდარი მარშრუტზე.

თარო – ვიწრო განივი შვერილი კლდოვან ციცაბო ფერდობზე.

თვითდაცვა – საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; იხ. დაცვა.

თოვლი – მყარი ატმოსფერული ნალექი, რომელიც ღუბლებიდან ცვივა ფიფქების (მყარი კრისტალების) სახით

თოვლის ალამი – ქედზე ან ფერდობზე ქარის მიერ წამოშლილი თოვლის კორიანტელი

თოვლის დაფა – მკვრივი, ქერქიანი ზედაპირის მქონე თოვლის ფერდობი

თოვლის „ნემსი“ – თოვლის ბელტებისაგან აშენებული კონუსური ფორმის თავშესაფარი კოშკი

თოვლის სიბრმავე – თვალის ტრავმა, მხედველობის დროებითი დაკარგვა, თოვლიან გარემოში დამცავ საშუალებათა გარეშე ხანგრძლივი ყოფნით გამოწვეული.

თოვლის ხაზი – მიჯნა, მუდმივი თოვლის საფარველის ქვემო საზღვარი

თოვლის ხიდი – ნაპრალის ან მდინარის ნაპირების შემაერთებელი თოვლის ზღუდარი

თოკი – საბელი, დაწნული ან დაგრეხილი გრძელი მსხვილი ძაფების ერთობლიობა

თოკის მარკირება – თოკის დახვევა გარკვეული წესების დაცვით, მისი შემდგომი გამოყენების გათვალისწინებით

თრთვილი – იხ. ჭირხლი

თხემი – მთის ან ქედის სხვადასხვა ექსპოზიციის მქონე ფერდობების შეერთების ხაზი

ი

იალბუზი – კავკასიონის მთიანი სისტემის (და ევროპის კონტინენტის) უმაღლესი მსვერვალი (5642 მ).

იერიში – შტურმი, მწვერვალზე ასვლის (მთამსვლელობაში) ან მოწინააღმდეგის პოზიციის დაკავების (სამხედრო საქმეში) მიზნით განხორციელებული პრაქტიკული მოქმედება.

ინვენტარი – იხ. საჭურველი.

ინსტრუქტორი (ლათ) – მთამსვლელთა სასწავლო ან სასწავლო-სპორტული ჯგუფის ხელმძღვანელი, მთამსვლელობის მასწავლებელი, მწვრთნელი.

კავკასიის მთიანეთი – მთიანი მხარე აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდ. და სამხრ. კავკასიის წყალგამყოფი.

კაზმულობა – ჩაცმულობისა და ინვენტარ-საჭურველის ერთობლიობა.

კამუსი – ირმის ტყავისაგან შეკერილი დამცავი შალითა თხილამურებისათვის, იხმარება აგრეთვე, როგორც პაჭიჭები წვივებისა და ფეხსაცმლის დასაცავად სიცივისა და სინესტისაგან

კანიონი (ესპ.) – ციცაბო ფერდობებიანი ქვაბული; ვიწრო, ღრმა ხეობა.

კანისტრა (ინგლ) – ჰერმეტულად დახურული ჭურჭელი საწვავის, საპოხი ზეთების ან სხვა რამის გადასაზიდად.

კანტი – 1. სამთო თხილამურების მუშა ზედაპირის გასწვრივ დამაგრებული ლითონის ვიწრო ზოლი;
2. გამოკვეთილი ვიწრო გამოზნექილი განივი ან გრძივი ნაწიბური რელიეფზე

კაპიუშონი (ფრანგ.) – ზედა ტანსაცმლის საყელოზე მიკერებული თავზე წამოსასხამი, უამინდობისაგან დასაცავად.

კარაბინი (ფრანგ.) – 1. მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 2. ლითონის სამკუთხა, ოვალური ან სხვა ფორმის გასახსნელი რგოლი ჩამკეტი მექანიზმით, რომელიც გამოიყენება თოკში ჩაბმის გასაადვილებლად როგორც შემაერთებელი, შუალედური რგოლი

კარავი – მკვრივი, წყალგაუმტარი ქსოვილისგან შეკერილი სამგზავრო (საველე) თავშესაფარი (სახელდახელო სახლი).

კარნიზი (გერმ. ბერძნ.) – ლავგარდანი: 1. ესთეტიკური ან სხვა მიზნით შენობის კედელზე, ჭერზე, კარის, ან სარკმლის თავზე შემოვლებული არშია (შვერილი); 2. ვიწრო განივი შვერილი ციცაბო კლდოვან ფერდობზე; 3. კლდის კიდეზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი; 4. ქედის ან მწვერვალის თოვლიანი წანაზარდი ნამქერის შედეგად.

კარპატები – მთიანი მხარე აღმოსავლეთ ევროპასა და შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში, დას. და ცენტრ. ევროპის მთიანი მასივების გაგრძელება აღმოსავლეთით.

კარსტი – რელიეფის ძაბრისებრი ფორმის ჩაღრმავება იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი მსხვილმარცვლოვანი ხსნადი ქანებისაგან (კირქვები, თაბაშირი, ქვამარილი) შედგება.

კასკადი (ფრანგ.) – საფეხურებიანი ჩანჩქერი; ბუნებრივი, დასაფეხურებული წყალვარდნილი კლდეზე.

კატაკლიზმა, კატასტროფა, (ბერძნ.) – გადატრიალება, წარღვნა, მოულოდნელი უბედურება, უბედური შემთხვევა, მძიმე, ტრაგიკული შედეგით.

კბილი – მთის კალთაზე ან ქედზე ამოშვერილი კონუსური ფორმის ჟანდარმი.

კედელი – 1. შენობის ბრტყელი , შვეულად აღმართული ნაწილი;
2. ძალიან დიდი დახრილობის (ციცაბო) კლდოვანი ან ყინულოვანი ფერდობი.

კვამლი, ბოლი – შეშის (ან რაიმეს) არასრული წვის შედეგად გამოყოფილი მუქი შეფერილობის აქროლებადი ჰაერის მასა

კვანძი, ნასკვი – მოქნილი სხეულების (თოკების) ბოლოების გადახლართვა გარკვეული მიმდევრობით და შეკვრა.

კლდე – მთის დაქანებული (დამრეცი, ციცაბო) ქვაგვერდობი, ძნელად სავალი.

კლდის პალო – ფოლადის ბრტყელი ფირფიტა ნახვრეტიანი ყუნწით კლდოვან რელიეფზე ხელოვნური საყრდენი წერტილის შესაქმნელად.

კლდოვანი კუნძული – თოვლ-ყინულით ან წყლით გარშემორტყმული კლდის მასივი.

კლიმატი (ბერძნ) – ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონის მეტეოროლოგიურ პირობათა (ამინდი, ჰავა, წნევა, ტემპერატურა და ა. შ.) ერთობლიობა.

კომბინირებული მარშრუტი – მარშრუტი რელიეფის ნაირგვარი (კლდოვანი, ყინულოვანი და თოვლიანი) საფარის მონაცვლეობით.

კომპასი (იტალ) – ხელსაწყო ქვეყნის მხარეების გასარკვევად; აქვს მაგნიტური ისარი, რომელიც ყოველთვის ჩრდილოეთისკენაა მიმართული.

კონდენსაცია (ლათ.) – ორთქლის ან გაზის სითხედ გადაქცევა (მაგ. კარვის შიგა ზედაპირზე ღამით წყლის წვეთების გაჩენა).

კონტრფორსი (ფრანგ) – მწვერვალის ან ქედისკენ მიმავალ ფერდობზე სუსტად გამოხატული მოკლე წიბო, ციცაბო თხემი.

კონტური (ფრანგ) – საგნის საერთო გარეგანი მოხაზულობა; მთის (ქედის) მოხაზულობა (პროექცია) ცის ფონზე.

კორდილიერები – მთათა სისტემა ამერიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში, წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ.

კოშკი – ქედზე ან ფერდობზე აღმართული რელიეფის წვრილი და მაღალი ფორმის შვერილი, რომელიც ხელოვნურ ნაგებობას წააგავს

კოცონი – ერთიმეორეზე დაწყობილი შეშით ან ფიჩხით ანთებული ცეცხლი

კროკი (ფრანგ.) – იხ. სქემა

კუთხე – 1. (გეომეტრ.) სიბრტყეზე ერთი წერტილიდან გამოსულ ორ სწორ ხაზს შორის მოქცეული სივრცე; 2. ორ ურთიერთგადამკვეთ სიბრტყეს შორის მოქცეული სივრცე.

კულუარი (ფრანგ.) – გრძელი ფართო ღარი ფერდობზე ან მეზობელ ფერდობებს შორის, რომელიც ზვავების, ქვათაცვენის ან წვიმის წყლის დინების კალაპოტს წარმოადგენს.

კუნძული – 1. წყლით გარშემორტყმული ხმელეთის ნაწილი; 2. მცირე ზომის ფართი, რომელიც გარშემორტყმულია სხვა სახის საფარით.

ლ

ლავა (იტალ.) – ვულკანური მოქმედების შედეგად დედამიწის ქერქის სიღრმიდან ამოტყორცნილი გავარვარებული გამდნარი მასა, რომლის გაცივების შედეგად წარმოიქმნება ვულკანური ქანები (მაგ. ბაზალტი)

ლავგარდანი – იხ. კარნიზი.

ლანდშაფტი (გერმ) – *1.* ადგილმდებარეობის საერთო ხედი, მისი ამსახველი პეიზაჟი. 2. რელიეფის ნაწილი მცენარეულობის, ცხოველების ჰავისა და ნიადაგის დამახასიათებელი შეხამებით.

ლაშქრობა – ჯგუფური გადაადგილება გარკვეული ამოცანის შესასრულებლად.

ლოდი – დიდი ზომის ქვის, კლდის ან ყინულის ნატეხი

მ

მაგმა (ბერძნ) – ვულკანის ამოფრქვევისას დედამიწის ქერქის სიღრმიდან ამოტყორცნილი გამდნარი სილიკატური მასა; მისი გაცივებისა გამაგრების შემდეგ წარმოიქმნება ამოფრქვეული ქანები.

მათარა – სამგზავრო ბრტყელი ჭურჭელი წყლის ან სხვა სასმელისათვის.

მალამო – უფორმო, ბლანტი, ცხიმოვანი მასა: 1. გარეგანი სამკურნალო საშუალება სხეულის დასაზელად ან დაზიანებული ნაწილის სამკურნალოდ; 2. საცხი, ფეხსაცმლის ან თხილამურების გასაპოხად

მარკირება – იხ. თოკის მარკირება, მარშრუტის მარკირება

მარყუჟი, ყულფი – თოკის ჩაბმის, გადაბმის ან სხვა მიზნით გამოყენების წინ მისი გადაღუნვის ან მოკეცვის შედეგად წარმოქმნილი გეომეტრიული ფიგურა

მარშრუტი (გერმ) – მოგზაურის (ტურისტის) გასავლელი გზის წინასწარ დასახული გეზი

მარშრუტის მარკირება – გასავლელი გზის (მარშრუტის) მონიშვნა, მის გასწვრივ ადვილად შესამჩნევი საგნების (ნიშნების) განლაგებით

მარშრუტის კლასიფიკაცია – მარშრუტის ლოგიკური სქემის დადგენა და მისი სირთულის კატეგორიის განსაზღვრა.

მასივი (ფრანგ.) – 1. გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე (მაგ. ტყის მასივი); 2. სუსტად დანაწევრებული მთიანეთი, რომელსაც არ აქვს მკაფიოდ გამოსახული თხემი

მასშტაბი (გერმ) – რუქაზე ან ნახაზზე მოცემული ხაზის სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოსახულ ნამდვილ (რეალურ) ზომასთან

მაშველი (სამთო) – ექსტრემალურ სიტუაციათა პროფილაქტიკისა და გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარების მიზნით სპციალური პროგრამით მომზადებული მთამსვლელი.

მაშხალა (სასიგნალო) – დენთით დატენილი გილზი, რომელიც აფეთქებისას მაღლა მიდის და სხვადასხვა ფერის სინათლეს ასხივებს.

მდინარე – ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე წყლის დიდი ნაკადი.

მეზღვაურის კვანძი, საზღვაო კვანძი – კვანძის სახეობა, რომელიც რეკომენდებულია თანაბარდიამეტრიანი თოკების გადასაბმელად

მეკლდეური – კლდეზე ცოცვაში დახელოვნებული სპორტსმენი, სპეციალისტი.

მეკლდეურობა, კლდეზე ცოცვა – რთულ კლდოვან ფერდობზე გადაადგილების ხელოვნება.

მემაღლივე – სპეციალისტი, დიდ სიმაღლეებზე (ანძებზე, მაღალ ნაგებობებზე) სხვადასხვა სამუშაოთა შესასრულებლად.

მეწყერი, შვავი – ხშირი წვიმების ან მიწისქვეშა წყლების ზეგავლენით მიწის ზედაპირის დაძვრა, ჩაქცევა.

მზის დაკვრა, მზის დარტყმა – მზეზე ხანგრძლივი ყოფნით გადახურების შედეგად გამოწვეული გონების დაკარგვა.

მთა – დედამიწის ქერქის ამოზნექილი ნაწილი ხმელეთის მოვაკებულ ზედაპირზე.

მთათა ჯაჭვი – ერთიმეორეზე გადაბმული ქედების ერთობლიობა.

მთამსვლელთა ფედერაცია – საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ მთამსვლელებს და ხელმძღვანელობს მათ ალპინისტურ საქმიანობას

მთამსვლელი – მთაში მოგზაური (ზოგადად); სპორტსმენი, რომლის მიზანია მთის მწვერვალის დალაშქვრა.

მთამსვლელობა – მთის მწვერვალზე ასვლა სპორტული, შემეცნებითი ან სხვა მიზნით; საფუძველი ჩაეყარა მწვ. მონბლანზე(**ალპებში**) ფრანგი ექიმის მიშელ პაკარისა და შვეიცარიელი გამყოლის ჟაკ ბალმას ასვლით 1786 წ.

მთიანეთი – მთიანი მხარე, ზეგანების, ქედების და მთის მასივების ერთობლიობა, დედამიწის ზედაპირის ვრცელ მონაკვეთზე.

მთის ავადმყოფობა – სიმაღლის ზეგავლენით და ადაპტაციის დეფიციტით გამოწვეული პათოლოგია, რომელიც ფუნქციური დარღვევებით ხასიათდება და დაბლა ჩამოსვლისას უკვალოდ ქრება.

მირაჟი (ფრანგ) – მოჩვენება, ზმანება; ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში, როცა ჰორიზონტთან მოჩანს საგნის ცრუ გამოსახულება (ჰორიზონტის იქით მდებარე საგნები აირეკლებიან ჰაერის არათანაბრად გახურებულ ფენებში და ხილული ხდებიან)

მოაჯირი – მარშრუტის რთული (სახიფათო) მონაკვეთის გასწვრივ დაზღვევის მიზნით გაბმული თოკი, დამაგრებული ბოლოებით.

მოთელვა, წვართვა – მსუბუქი ვარჯიში (ვარჯიშების ერთობლიობა), მოსალოდნელი დიდი დატვირთვის წინ კუნთების გასახურებლად.

მონაცვლეობითი დაცვა – მარშრუტის სახიფათო უბანზე ჩაბმაში გადაადგილებისას უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული ღონისძიება, როცა ერთი მოძრაობს, მეორე დაცვაზე დგას და პირიქით

მონბლანი – ალპების მთიანი მხარის და დასავლეთ ევროპის უმაღლესი მწვერვალი, (4807 მ); მონბლანზე ასვლა ითვლება ალპინიზმს საწყისად.

მორენა (ფრანგ) – მყინვარის გადაადგილების, ქვათაცვენის ან ღვარცოფის შედეგად წარმოქმნილი მთის ქანების ნამტვრევების (ღორღის) გროვა.

მორი – მოჭრილი ხის ტანის ნაწილი, ტოტებისგან გაწმენდილი ხის ტანის გადანაჭერი.

მორევი – დაგუბებული წყლის მასის წრიული მოძრაობა.

მოსახმობი – იხ. პაროლი.

მოსიმაღლე – მთამსვლელი, რომელიც დახელოვნებულია დიდ (5500 მ-ზე მაღალ) მწვერვალებზე ასვლაში.

მოწყვეტა – საყრდენის დაკარგვით გამოწვეული თავისუფალი ვარდნა შვეულ კედელზე,

მუზარადი – იხ. ჩაფხუტი.

მულდა (გერმ.) – ზვავის შედეგად მის ბოლოში დაგროვილი ერთმანეთში არეული თოვლყინულისა და მთის ქანების მასა.

მუსონი (ფრანგ.) – ქარი, რომელიც პერიოდულად იცვლის მიმართულებას, ზაფხულობით ზღვიდან უბერავს, ზამთრობით კი – ხმელეთიდან

მუჯირა – ჯოხ-შუბი, სამთო ჯოხი. იხ. ალპენშტოკი

მღვიმე – იხ. გამოქვაბული

მყინვარი – ატმოსფერული წარმოშობის ყინულოვანი რელიეფი (ყინულის მასა) მუდმივთოვლიან მთებში.

მყინვარის ენა – ხეობაში ჩამოწოლილი მყინვარის წაგრძელებული დაბოლოება.

მწვერვალი – მთის უმაღლესი ფიზიკური წერტილის მიმდებარე ტერიტორია; უმაღლესი ადგილი (გეოგრაფიული წერტილი) მთაზე, საიდანაც ყველა მხარეს დაღმართია.

მხარი – მოკლე შევაკებული მონაკვეთი ციცაბო ქედზე ან ფერდობზე.

ნ

ნაბიჯი, ბიჯი – ფეხის ერთი გადადგმა; მანძილი ნატერფალებს შორის.

ნაკადული – წყაროდან ან ჭაობიდან გამომდინარე წყლის მომცრო ნაკადი.

ნალექი – ატმოსფერული ტენი, რომელიც დედამიწაზე წვიმის ან თოვლის სახით მოდის.

ნალი – მთათა სისტემა, რომელსაც გეგმაში (ზედხედში) რკალის ფორმა აქვს.

ნამი – იხ. ცვარი

ნამქერი – ქარის მიერ მოხვეტილი ან დაგროვილი თოვლი

ნაპირი – საზღვარი წყალსა და ხმელეთს (მდინარის ნაპირი) ან ხმელეთის ორ მომიჯნავე სიბრტყეს (ხრამის ნაპირი) შორის.

ნაპრალი – ბუნებრივი ღრეჩო, ბზარი მთის ფერდობზე.

ნასკვი – იხ. კვანძი

ნაშალი, ქვანაყარი – ბუნებრივი პროცესების შედეგად ჩამონაშალი მთის ქანების (კლდის ნამსხვრევების) გროვა ფერდობზე ან მის ძირში

ნისლი, ბურუსი – ორთქლის სქელი ფენა ატმოსფეროს დაბალ ფენებში.

ნიშნოსანი – დაბალი კვალიფიკაციის მთამსვლელი, რომელსაც გავლილი აქვს მთამსვლელობის საწყისი კურსი და შესრულებული აქვს ერთი ასვლა მაინც.

ნეკნი – მწვერვალიდან ან ქედიდან მისი ძირისაკენ დაშვებული მოკლე თხემი, რომელიც ორივე მხრიდან ღრმა კულუარებითაა შემოსაზღვრული, (იხ. ბასტიონი).

ნემსი – მახვილწვერიანი მწვერვალი, ჟანდარმი, ან სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური ნაგებობა.
ნესტი (ნესტიანი) – იხ. ტენი

ო

ორიენტაცია, ორიენტირება (ფრანგ) – 1. ადგილმდებარეობის (საკუთარი დგომის წერტილის) განსაზღვრა ქვეყნის მხარეების მიმართ; 2. გზის გაგნება გარემოში
ორიენტირი – მაჩვენებელი, რელიეფზე მდგარი ცალკეული საგანი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ორიენტირება.

პ

პათაგონია – მთიანი მხარე ანდების მთაგრეხილის სამხრეთ ნაწილში სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე
პალო – სამარჯვი ხელოვნური საყრდენის შესაქმნელად სხვადასხვა სახის რელიეფზე. იხ. კლდის, ყინულის და შლიამბურის პალოები.
პანორამა (ბერძნ) – რაიმე ვრცელი მიდამოს ხედი, გარემოს ხედი.
პანორამის პუნქტი – მაღლობი ადგილი, საიდანაც კარგად მოჩანს გარემოს ხედი.
პროლი (ფრანგ.) – მოსახმობი – წინასწარ განსაზღვრული საიდუმლო სიტყვა, რომელსაც იყენებენ თავისიანების გამოსაცნობად რადიოსეანსების დროს.
„პერილა" – იხ. მოაჯირი
პიკი – 1. მთის მახვილწვერიანი მწვერვალი; 2. დატვირთვის ზღვრული მაჩვენებელი
პირინეი – მთიანი მხარე პირინეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვრზე
პლატო (ფრანგ.) – ზღვის დონიდან შედარებით მაღლა მდებარე მოვაკებული ადგილი, ზეგანი.
პლატფორმა (ფრანგ.) – დურალუმინის ან სხვა მსუბუქი მასალისაგან დამზადებული და თოკზე ჩამოკიდებული პატარა ბაქანი, რომელზედაც შეიძლება ორივე ფეხით დადგომა (კედლოვანი მარშრუტის დამუშავების ან სხვა ძნელადმისადგომი სამუშაოს შესრულების დროს).
პოლისპასტი (ბერძნ.) – 1.მექანიზმი ძალის ან სიჩქარის მოსაგებად;
2. სამთო თოკებისა და კარაბინებისაგან აწყობილი სისტემა, საბაგირო გზის დასაჭიმავად.

პრიმუსი (ინგლ.) – თხევად საწვავზე მომუშავე სამგზავრო ქურა. მთაში გამოყენებულია ბენზინის, სპირტის და გაზის საწვავზე მომუშავე პრიმუსები.

პულსი – მაჯისცემა, გულის კუნთის შეკუმშვის სიხშირე (ისინჯება არტერიაზე).

ჟ

ჟანდარმი (ფრანგ.) – 1. ჟანდარმერიაში მომუშავე პირი;
2. კლდეგუშაგი, მოჩვენებითი (ცრუ) მწვერვალი, ქედზე ან თხემზე აღმართული მწვერვალის მსგავსი ბუნებრივი დაბრკოლება.

ჟუმარი – სამარჯვი მოწყობილობა თოკზე ასვლა-დაშვების გასაადვილებლად.

რ

რაზმი – განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად გამზადებული ადამიანთა ჯგუფი: 1. ჯარის ან ლაშქრის ნაწილი;
2. ერთიანი პროგრამით დაკომპლექტებული მთამსვლელთა ჯგუფი სასწავლო და სასწავლო-სპორტულ ღონისძიებაში.

რანდკლუფტი (გერმ.) – განიერი გვერდითი ღრეჩო კლდოვან ფერდობსა და მყინვარს შორის.

რელიეფი (ფრანგ.) – დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობათა ერთობლიობა.

რეპშნური – იხ. დამხმარე თოკი

რითმი, რიტმი (ბერძნ) – რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა (მაგ. ნაბიჯის, სუნთქვის)

რიფი (გერმ.) – წყალქვეშა კლდე (ზოგჯერ ოდნავ ამოწეული წყლის დონიდან) რომელიც სახიფათოა ნაოსნობისათვის.

„რვიანი” – 1. თოკში ჩაბმისათვის გამოყენებული კვანძის სახეობა;
2. სამარჯვი თოკზე დაშვებისათვის, რომელსაც ციფრი „8”-ის ფორმა აქვს.

რუქა – 1. ქაღალდზე მასშტაბში გამოსახული ადგილმდებარეობის გეგმა-ნახაზი.
2. დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შემცირებული და განზოგადებული გამოსახულება.

ს

საბაგირო გზა – ადამიანების გადასაყვანად და მძიმე ტვირთების გადასატანად მდინარის (კანიონის) ნაპირებს შორის გაჭიმული თოკი (ბაგირი, ტროსი)

საბაზო ბანაკი – მრავალჯერადი გამოყენების დროებითი (არასტაციონალური სადგომი, რომელიც საწყისი პუნქტის როლს ასრულებს სასწავლო-საწვრთნელი ან რადიალური სპორტული ასვლების დროს.

საბელი – იხ. თოკი

სადგომი – შესვენების ან ღამისთევის ადგილი მარშრუტზე.

სავარცხელი – ქედის ან თხემის მოკლე დაკბილული მონაკვეთი.

საზვავე ზონარი – 10-12 მ სიგრძის კონტრასტული ფერის დამხმარე თოკი, რომელიც ფეხზე ან წელზე აქვთ გამობმული ზვზვსაშიშ ზონაში გადაადგილების ან სამუშაოს შესრულებისას მოსალოდნელი ძებნის გაადვილების მიზნით.

საზვავე ზონდი – ერთიმეორეში ჩასახრახნი ლითონის სპეციალური ღეროები, რომელთაგან ერთს თავზე სახელური აქვს, ხოლო მეორეს ბოლოში კაუჭი ზვავში ჩამარხული საგნების აღმოსაჩენად.

საზვავე ნიჩაბი – ბარის ფორმის ლითონის ფირფიტა, რომელსაც წერაყინისგან უკეთდება ტარი და გამოიყენება თოვლიან ფერდობზე დაცვის მოსაწყობად.

საზღვაო კვანძი – იხ. მეზღვაურის კვანძი.

სათრეველა (волокуша) – სახელდახელო საშუალებებით გაკეთებული მარხილი რთულ მთაგორიან რელიეფზე ტვირთის გადასატანად (გასათრევად)

საკაცე – ავადმყოფის გადასაყვანად განკუთვნილი სახელურბიანი საწოლი.

საკონტროლო ვადა – წინასწარ დადგენილი სავარაუდო დრო (დღე, საათი), რომელშიც ჯგუფმა უნდა გაიაროს მოცემული მარშრუტი.

საკონტროლო-სამაშველო სამსახური – სპეციალური სამსახური მაღალმთიან ტურისტულ რეგიონში ავარიულ სიტუაციათა პროფილაქტიკისა და გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად

საკონტროლო ტური – მარშრუტის გასწვრივ სპეციალურად მოწყობილი ტური მისი გავლის დასადასტურებლად.

სამარშრუტო ფურცელი – სალაშქროდ მიმავალი (მარშრუტზე მყოფი) ჯგუფის ძირითადი საბუთი, რომელშიც მოცემულია ჯგუფის შემადგენლობა, მიზანი, მოძრაობის გეზი, საკონტროლო ვადა და ა.შ.

სამაშველო რაზმი – მაშველი მთამსვლელებით დაკომპლექტებული ჯგუფი გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად

სამთო მაშველი – იხ. მაშველი

სამთო ფეხსაცმელი – სქელძირიანი, ზონარით შესაკრავი დაბალყელიანი ტყავის თბილი ფეხსაცმელი.

სამკერდე ქამარი – მკერდზე შესაკრავი სპეციალური სარტყელი თოკში ჩაბმის გასაადვილებლად და ტრავმატიზმის შესამცირებლად; თანამედროვე ალპინიზმში წარმატებით შეცვალა დაცვის სისტემამ.

საპალნე, საკიდარი – ცხენის, ვირის, ან სხვა საქონლის ასაკიდი ტვირთი

სატაცი – სამარჯვი მოწყობილობა ტროსის დასაჭიმავად და დასაფიქსირებლად

საქუსლე – საცალფეხო ხიდის (ბოგირის) აგების პროცესში მორის თავის გაცურების საწინააღმდეგოდ ამოთხრილი პატარა ორმო ან ქვებისგან აშენებული ბარიერი

საყრდენი – რელიეფის ზედაპირზე არსებული შვერილი ან ღრმული, რომელზედაც შეიძლება ხელის მოკიდება ან ფეხის დადგმა

საცობი – განიერ ნაპრალში გაჭედილი დიდი ქვა (ლოდი).

საძილე ტომარა – სამი მხრიდან ამოკერილი ტომრის (პარკის) ფორმის საბანი, ლეიბის ფუნქციასაც ასრულებს და მოხერხებულია სატარებლად

საჭაპანო ტრანსპორტი – ტრანსპორტი, რომელშიც გამწევ ძალად საქონელი არის გამოყენებული

საჭურველი – აღჭურვილობა, მთაში გამოყენებული ინვენტარ-ხელსაწყოების (კარავი, თოკი წერაყინი, ჩაქუჩი და ა.შ.) და სამარჯვების („რვიანი“, ამორტიზატორი, პალო და ა.შ.) ერთობლიობა

სახელდახელო საშუალება – ლაშქრობის დროს ჯგუფის ხელთ არსებული ან მარშრუტის გასწვრივ მდებარე საგნები (საჭურველი, ჩაცმულობა, ჭოკი და სხვა).

სერაკი – მყინვარის ზედაპირზე ამოშვერილი სტალაგმიტის მსგავსი ყინულის დიდი ბოძი, რომელიც მზის, ქარისა და წვიმის ზემოქმედებით არის „გამოძერწილი“.

სეტყვა – ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება სხვადასხვა ზომის ყინულის მცირე ბურთულებისაგან (იხ. ხოშკაკალა)

სიმაღლე (ზღვის დონიდან) – მანძილი, გაზომილი წარმოსახვითი შვეულით, ზღვის დონიდან მოცემულ წერტილამდე

სირთულის კატეგორია – მარშრუტის სირთულის მახასიათებელი, რომელიც ალპინიზმის საერთაშორისო ფედერაციის კრიტერიუმებით განისაზღვრება

სოლი – დიდი, განიერი ხის პალო, რომელიც გამოყენება ფართო ნაპრალებში ჩასაჭედად, ხელოვნური საყრდენის შექმნის მიზნით

სპორტული ბაზა – სპორტული წვრთნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალიზირებული დაწესებულება

სტალაგმიტი(ბერძნ.) – მიწისქვეშა კარსტულ მღვიმეების ფსკერზე წამოზრდილი სვეტისებრი, კონუსური ან სხვა ფორმის ფიგურა, რომელიც წარმოქმნილია საუკუნეების მანძილზე ზემოდან ჩამონაღვენთი კირიანი წყლის წვეთებით

სტალაქტიტი (ბერძნ.) – მიწისქვეშა კარსტული მღვიმეების ჭერსა და კედლებზე ჩამოზრდილი ლოლუების მსგავსი ნაღვენთი ფიგურა, რომელიც წარმოქმნილია საუკუნეების მანძილზე ნაღვენთი კირიანი წყლის წვეთებით

სტაჟიორი (ფრანგ) – სპეციალური სწავლების კურსდამთავრებული მთამსვლელი (ან სხვა სპეციალისტი), რომლიც პრაქტიკას (სტაჟირებას) გადის ინსტრუქტორის წოდების მოსაპოვებლად

სუბლიმაცია (ლათ.) – მყარი ნივთიერების უშუალოდ აირისებურ მდგომარეობაში გადასვლა (მაგ. ყინულის აქროლა)

სქემა – სახელდახელოდ შედგენილი ადგლმდებარეობის ჩანახატი ძირითადი ორიენტირების განლაგების ზუსტი ასახვით

ტ

ტალღა – 1. (ჰაერის) - ფიზიკურ გარემოში რხევითი მოძრაობის გავრცელება გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად;
2. (წყლის) – რხევითი მოძრაობით გამოწვეული ამონაზნექი წყლის ზედაპირზე

ტბა – წყლით ამოვსებული ქვაბული, ღრმული, ტაფობი

ტემპი (იტალ.) – მოძრაობის ან სხვა საქმიანობის შესრულების სისწრაფე.

ტენი (ნესტი) – სისველე, წყლით გაჟღენთილი.

ტერასა (ფრანგ.) – გრძელი, განიერი თარო, ზომიერი ფართის დახრილი ან ჰორიზონტალური ბაქანი ფერდობზე

ტერფი – 1. ადამიანის ფეხის ნაწილი კოჭის ქვემოთ;
2. ადამიანის ან ცხოველის ფეხის ძირი.

ტრავერსი (ფრანგ) – 1. რამოდენიმე მწვერვალზე ძირსდაუშვებლად გადასვლა;
2. ქედის ნაწილობრივი ან მთლიანი გავლა მასზე არსებული მწვერვალების მიმდევრობითი დალაშქვრით;
3. ფერდობის განივი გადაკვეთა.

ტრიკონი – 1. სამთო ფეხსაცმლის მოსაჭედი კბილებიანი ნალი;
2. სამთო ფეხსაცმელი, რომლის ძირი კბილებიანი ნალებითაა მოჭედილი.

ტროსი (ჰოლანდ.) – გვარლი – ფოლადის, არმირებული ბოჭკოვანი ძაფებისაგან დამზადებული ბაგირი, დიდი დატვირთვებისათვის.

ტროსების საჭურველი – სპეციალური აღჭურვილობის კომპლექტი (ზურგჩანთა, საკაცე, სხვადასხვა დიამეტრის ტროსების ხვიები, ბლოკ-გორგოლაჭი, ბლოკ-მუხრუჭი და სხვა) რთულ მთაგორიან რელიეფზე დაშავებულის ტრანსპორტირებისათვის.

ტური (ფრანგ.) – 1. წერილის შესანახი ნიშა მწვერვალზე ან მარშრუტზე;
2. მარშრუტის გასწვრივ განლაგებული (ქვებისგან აშენრბული) ხელოვნური ორიენტირი;
3. რაიმე შეჯიბრების ან კონკურსის ნაწილი

ტურიზმი (ფრანგ.) – მოგზაურობა ქვეყნის გაცნობისა და აქტიური დასვენების მიზნით

უ

უზანგი – 1. ცხენის კაზმულობის შემადგენელი ნაწილი, ფეხის სატერფული მხედრისათვის;
2. სპეციალური კვანძი-მარყუჟი ვერტიკალურ თოკზე ასვლისათვის.

უნაგირა – 1. მოკლე ჩაზნექილი მონაკვეთი ქედზე, ორ ამაღლებას შორის;
2. მომცრო ჩაღრმავება ორ სიმაღლეს (მწვერვალს) შორის.

ურალი – მთიანი მხარე ევროპისა და აზიის საზღვარზე.

უღელტეხილი – გადასასვლელი, ზეკარი, ქედის ჩაზნექილი უბანი, საიდანაც მოსახერხებელია ერთი ხეობიდან მეორეში გადასვლა.

ფ

ფარანი – 1. გზის ან სადგომის (ოთახის) გასანათებელი მაშუქი ხელსაწყო.
2. წყალამრეკლი ქსოვილისაგან (ბრეზენტი, კაპრონი და სხვა) შეკერილი 35-40 სმ სიგრძის (კოჭებიდან

მუხლებამდე) შალითა-მილისა, ფეხსაცმლისა და წვივების დასაცავად ჭარბი ტენისა და კენჭებისაგან.

ფარდული, ჩარდახი – გვერდითი მინაშენი რაიმე ნაგებობაზე

ფაუნა (ლათ) – ცხოველთა სამყარო.

ფენი (გერმ.) – თბილი, მშრალი ქარი, რომელიც მთიდან უბერავს. წარმოიშობა ქედის სხვადასხვა მხარეს ატმოსფერული წნევის მნიშვნელოვანი განსხვავების დროს.

ფერდობი – მთის კალთა, რელიეფის დახრილი სიბრტყე ხეობის ძირიდან ქედამდე

ფილა – ბრტყელი, გლუვზედაპირიანი კლდის დიდი ლოდი.

ფირნი (გერმ.) – ძველი, მვრივი, დაკრისტალებული თოვლი.

ფიჩხი – ხის წვრილი გამხმარი ტოტები.

ფლორა (ლათ.) – 1. მცენარეთა სამყარო, სხვადასხვა მცენარეთა ერთობლიობა;

2. გაზაფხულისა და ყვავილების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

ფონი – მოხერხებული ადგილი მდინარეში გასასვლელად

ფუმაროლი – ვულკანის კრატერში ან მის კალთებზე არსებული მცირე ზომის ნაპრალები, საიდანაც ცხელი აირები (CO, SO2, H2S) გამოიყოფა

ქ

ქამარი – 1.წელზე შემოსაკრავი ღვედის ან ტყავის სამკაული ტანსაცმელის მოსართავად ან დასამაგრებლად;

2. განსხვავებული ფიზიკური მახასიათებლის (ფერი, სიმკვრივე და სხვა) მქონე სარტყელი (ზოლი) მთის კალთაზე ან მწვერვალის მისადგომებთან.

ქარი – ჰაერის მასების სწრაფი გადაადგილება.

ქარბუქი – ძლიერი ქარი თოვლის ან მტვრის კორიანტელით.

ქარზურგა მხარე – ქარისაგან დაცული, ქარის დაწოლის საწინააღმდეგო მხარე; საითაც ქარი უბერავს.

ქარპირა მხარე – ქედის ის მხარე, საიდანაც ქარი უბერავს.

ქედი – ერთ ხაზზე განლაგებული მთათა ჯაჭვი; მწვერვალთა შემაერთებელი ხაზების ერთობლიობა; სხვადასხვა ორიენტაციის ფერდობების შეუღლების ხაზი.

ქვა – 1. კლდის ნატეხი;

2. გუნდად შეკრული თიხამიწის ან ქვიშის მარცვლების ერთობლიობა.

ქვათაცვენა – ბუნებრივი პროცესების (წვიმა, ქარი, ყინვა, მზე) შედეგად ჩამოშლილი კლდოვანი ქანების ვარდნა მთის ფერდობზე.

ქვაყრილი – იხ. ნაშალი.
ქვიშა – ბუნებრივად დანაწევრებული ქვის პატარა ნაწილაკები.
ქიმი (კლდის) – კლდოვანი რელიეფის მოკლე ბუნებრივი შვერილი
ქოხი – მარტივი ტიპის ღარიბული სახლი; ხელოვნური თავშესაფარი ნაგებობა მარშრუტზე ან მაღალმთიან ზონაში
ქუდი – 1. თავსამკაული;
2. მწვერვალზე ან პლატოზე არსებული მომცრო ზომის თოვლის ფენა ან მცენარეული საფარი, რომელიც მოწყვეტილია ძირითად მასას.
ქურთუკი – გრძელსახელოებიანი მოკლე თბილი ზემოთა ტანსაცმელი
ქურო – ალპინისტური კარაბინის ჩამკეტი მექანიზმის დამაფიქსირებელი რგოლი.
ქუხილი – იხ. გრგვინვა.

ღ

ღამე – დროის მონაკვეთი მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე, როცა მზე დედამიწის მეორე მხარესაა მოქცეული და ხილვადობა შეზღუდულია.
ღარი – წვიმის, ქვათაცვენის ან ზვავისაგან ფერდობზე გაჩენილი გრძელი, ვიწრო არხი (ღრმული).
ღარტაფი – ვიწრო, გრძელი ხეობა დაბალი ველიანი მდინარის გასწვრივ
ღვარცოფი – მთიდან მოვარდნილი ქვა-ღორღისა და ტალახის ნიაღვარი
ღია დგომი – მთამსვლელის პოზაფერდობზე, დაბლობისაკენ ნახევრად შემობრუნებული კორპუსით და ორი საყრდენი წერტილით, ხოლო წინა ფეხი მოქცეულია ფერდობისაკენ; ორივე ხელი თავისუფალია.
ღია მყინვარი – მყინვარი, რომლის ნაპრალები თოვლის დნობის შემდეგ გაშიშვლებულია და სახიფათო უბნები კარგადაა გამოკვეთილი.
ღრუბელი – ორთქლის მკვრივი ფენა ატმოსფეროს მაღალ ფენებში

ყ

ყინვა – სიცივე, სუსხი, რომლის დროსაც თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი ნულოვანი ნიშნულის ქვემოთაა და წყალი იყინება.

ყინულვარდნილი – რელიეფის ფორმის ზგავლენით დანაწევრებული მყინვარი დაჩეხილ ციცაბო ფერდობზე; (გაყინული ჩანჩქერი).

ყინული – მყარი, კრისტალურ მდგომარეობაში მყოფი წყალი.

ყინულის პალო – ოთხკუთხედი კვეთის მახვილწვერიანი 25 სმ სიგრძის და 10 მმ დიამეტრის ფოლადის კონუსური ღერო, 14 სმ-იანი ჭანჭიკის თავით.

ყინულის ჩაქუჩი – სპეციალური ჩაქუჩი, რომლის თავის მეორე მხარეს წერაყინის ნისკარტი აქვს (ყინულის დასამუშავებლად)

ყინულის ჭანგი (ყინულმცოცი) – ფურცლოვანი ფოლადისაგან დამზადებული ბრტყელი კაუჭი სახელურითა და ნახვრეტით კარაბინისათვის.

ყულფი – იხ. მარყუჟი

„ყუნწი" – 1. დაცვის ორგანიზაციის მიზნით ყინულის კედელში გაკეთებული ნახვრეტი;
2. კლდის პალოს ნახვრეტიანი თავი.

შ

შემხვედრი კვანძი – კვანძის სახეობა თოკების გადასაბმელად.

შენაცვლებითი დაცვა – იხ. მონაცვლეობითი დაცვა.

შვავი – იხ. მეწყერი.

შვერილი – ბუნებრივი ამოზნექილობა კლდოვან რელიეფზე, საყრდენი რომელზედაც შეიძლება ხელით მოჭიდება ან თოკის შემოხვევა.

შიგა კუთხე – სხვადასხვა ორიენტაციის ფერდობების სიბრტყეთა გადაკვეთის შედეგად წარმოქმნილი კუთხე, რომლის წვერო ფერდობის შიგნითაა მიმართული.

შლემი – თავსამკაული ქარისა და ყინვისაგან დასაცავად

შლიამბური – სპეციალური სატეხი, გლუვზედაპირიან კლდეზე ნახვრეტის გასაკეთებლად ხელოვნური საყრდენის შექმნის მიზნით.

შტორმი (ჰოლანდ) – ქარიშხალი, ძალიან ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 20 მ/წმ აღემატება, ზღვაზე ძლიერ ღელვას იწვევს და ხმელეთზე ნგრევას.

შტურმი (გერმ.) – იხ. იერიში

შურთხი – მაღალმთიანი ფაუნის წარმომადგენელი ქათმისნაირთა ოჯახიდან, ზოგჯერ მთის ინდაურსაც უწოდებენ.

შხარა – *1.* კავკასიონის მთაგრეხილის ერთერთი უმაღლესი მწვერვალი მის ცენტრალურ ნაწილში, საქართველოს ტერიტორიის უმაღლესი ფიზიკური წერტილი (5201 მ); 2. მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადი.

ჩ

ჩაბალახი – მუზარადქვეშა თავსამკაული

ჩაბმა – 1. თოკში ჩაბმული მთამსვლელების ერთობლიობა; როგორც წესი ჩაბმაში უნდა იყოს ორი ან სამი მთამსვლელი.
2. თოკის ბოლოს დამაგრება (ჩაბმა) საყრდენზე.

ჩამოვარდნა – იხ. ვარდნა.

ჩამჭიდი კვანძი – სპეციალური დანიშნულების კვანძი, რომელიც ნახევრადავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს თვითდაცვას

ჩანჩქერი – წყალვარდნილი, წყლის ნაკადის ვარდნა დიდი დაქანების მქონე კალაპოტში

ჩარდახი – იხ. ფარდული

ჩაფხუტი – ლითონის ან პლასტმასის თავსაბური, მექანიკური დაზიანებისაგან დასაცავად.

ჩიონოფობია – შიში თოვლის მიმართ

ჩქერი – 1. წყალთხელი ტერასა მდინარის მთელ სიგანეზე;
2. მდინარის სწრაფი დინება დაქანებულ და ქვიან კალაპოტში.

ც

ცვარი, ნამი – ატმოსფერული ნალექი, რომელიც სხვადასხვა საგნებსა და მცენარეთა ფოთლებზე ჰაერის კონდენსაციის შედეგად წარმოიქმნება

ცირკი – ჯამისებური ფორმის ბუნებრივი ჩაღრმავება მთის კალთაზე

ცოცვა, ფორთხვა – დიდი დახრილობის რელიეფზე მთამსვლელის (მეკლდეურის) გადაადგილება ოთხივე კიდურების გამოყენებით.

"***ცოცალი ქვა***" – ფერდობზე თავისუფლად მდებარე (სტატიკურ წონასწორობაში მყოფი) ქვა, რომელიც უმნიშვნელო შეხებითაც კი შეიძლება ჩამოვარდეს (დაიწყოს მოძრაობა, დაგორდეს).

„***ცივი ღამსთევა***" – იძულებითი, გაუთვალისწინებელი ღამისთევა დიდ სიმაღლეზე, კარვის, საძილე ტომრისა და სხვა დამცავ საშუალებათა გარეშე, მხოლოდ ჩაცმულობის ამარა.

ძ

ძირითადი თოკი – ხელოვნური ბოჭკოსგან დაწნული ან დაგრეხლი 9-11 მმ დიამეტრის თოკი, რომელსაც მთამსვლელები იყენებენ საპასუხისმგებლო სამუშაოებისშესასრულებლად (მათ შორის ჩაბმისათვის).

წ

წერაყინი – მთამსვლელის ძირითადი სამუშაო იარაღი, დაცვისა და თვითდაცვისათვის, წერაქვის მსგავსი.

წრიაპი – ფეხსაცმლის ძირზე ამოსაკრავი გრძელკბილებიანი ლითონის სამარჯვი, ყინულზე გადაადგილების გასაადვილებლად.

წყალგამყოფი – ქედი, რომლის სხვადასხვა ფერდობიდან წამოსული წყლის ნაკადები სხვადასხვა მხარეს მიედინება.

წყალვარდნილი – იხ. ჩანჩქერი.

წყალსატევი – გაუდინარი ან შენელებული ჩამონადენი წყლის დაგროვება ხელოვნურ ან ბუნებრივ ქვაბულში, სადაც ჩამდინარე წყლის რაოდენობა სჭარბობს აირთქლებითა და ნიადაგში ფილტრაციით გამოწვეულ დანაკარგებს.

წყალსაცავი – ხელოვნური წყალსატევი, რომელიც მდინარის ხეობაში კაშხალის აგების შედეგად წარმოიქმნება წყლის შესაკავებლად, დასაგროვებლად და შესანახად.

წყარო – მიწისქვეშეთიდან (კლდიდან) გამომდინარე წყალი ან სხვა სითხე

ჭ

ჭაღი, ჭოჭონაქი – უძრავი ღერძის გარშემო მბრუნავი ღარიანი გორგოლაჭი, რომელზედაც გადაკიდებულია თოკი ტვირთის ასაწევ-ჩამოსაშვებად (ან სხვა მიმართულებით გადასატანად)

ჭირხლი – თრთვილი, რაიმე საგანზე (ბალახზე, ქვაზე, ღობეზე) შეყინული ორთქლი

ჭოკი – ხის გრძელი ჯოხი

ჭუჭრუტანა – ხვრელი, გამჭოლი ვიწრო ნახვრეტი.

ხ

ხასიათი – ადამიანის ინდივიდუალურ თვისებათა ერთობლიობა

ხეობა – 1. მთის ორი მოპირდაპირე ფერდობის ძირის შეერთებით წარმოქმნილი სივრცე; 2. ციცაბო ფერდობებიანი ველი.

ხერხი – ქედის დაკბილული ციცაბო ფერდობებიანი მონაკვეთი

ხიდი – მდინარის ან ხევის ნაპირების შემაერთებელი ტექნიკური ნაგებობა ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად.

ხილვადობა – მანძილი, გამოსახული მეტრებში, საიდანაც თავისუფლად შეიძლება საგნების გარჩევა საღამოს ბინდ-ბუნდში ან ნისლში.

ხოშკაკალი – ხორხოშელა, მშრალი მარცვლოვანი თოვლი (იხ. სეტყვა)

ხრამი – ღელე, ღრანტე, ციცაბო ფერდობებიანი ნიაღვრის სადენი ვიწრო ღრმა ხევი; ტაფობი

ხრახნული პალო – 15-20 სმ სიგრძის ღრუტანიანი ლითონის ღერო, რომლის გარე ზედაპირზე მოჭრილია ხრახნი კარაბინის ჩამოსაკიდი ყუნწით ყინულზე დაცვისათვის.

.

ჯ

ჯალამბარი – სამარჯვი-მოწყობილობა მძიმე ტვირთების გადასატანად

ჯიბე – ციცაბო ფერდობზე არსებული ან ხელოვნურად შექმნილი პატარა ღრმული, სადაც შესაძლებელია თითების ჩაყოფა წონასწორობის შესანარჩუნებლად.

ჯიქური ასვლა – აღმასვლა, წინსვლა უმოკლესი გზით, პირდაპირი – წყლის ვარდნის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ჰ

ჰალსტუხი – თოვლყინულიანი ფერდობის ან კულუარის მოკლე განშტოება რომელიც კლდოვან კედელს ებჯინება

ჰორიზონტალი – რელიეფის ფორმის აღმნიშვნელი წრიული ხაზები ადგილმდებარეობის რუქაზე.

ჰორიზონტი (ბერძნ) – დედამიწის ზედაპირის ხილული ნაწილი, რომელსაც ხედავს დამკვირვებლის თვალი; ცისა და დედამიწის წარმოსახვითი შეხების ხაზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მათითაიშვილი ვ. – მთამსვლელის მოკლე განმარტებითი რუსულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1999 წ.
2. რუსულ-ქართული ლექსიკონი – აკად. ქ. ლომთათიძის რედაქციით „საბჭოთა საქართველო”, 1983 წ.
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი – მიხეილ ჭაბაშვილის რედაქციით, „ნაკადული” , თბილისი, 1964 წ.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – ერთტომეული არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1990 წ.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია – ირაკლი აბაშიძის რედაქციით, თბილისი, 1975 – 1981 წწ.
6. ჩუბინიშვილი ნ. – ქართული ლექსიკონი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961 წ.
7. Даль В. И. – Толковый словарь живого великорусского языка. Т. 1-4, изд-во „Русский язык”, Москва, 1981-1982.
8. Энциклопедия туриста – под редакции Е. И. Тамма. „БРЭ”, Москва, 1993.
9. Daum / Schenk – Deutsch-Russisches wörterbuch. verlagenzyklopädie, Leipzig, 1965.
10. Daum / Schenk – Russisch-Deutsches wörterbuch. verlagenzyklopädie, Leipzig, 1966.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მ. მათითაიშვილი